შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

პროფესიული უნარების ტესტი სპეციალური მასწავლებლებისთვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 1

ჩამოთვლილთაგან რომელია ტერმინის -,,სენსორული ინტეგრაცია“ - **ყველაზე სწორი** განმარტება?

ა) სხვადასხვა ფაქტურის მასალასთან ხელის შეხებით მიღებული ინფორმაციის აღქმა და გადამუშავება.

ბ) ადამიანის მიერ შეგრძნების სხვადასხვა მოდალობით მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, გაერთიანება.

გ) სხეულის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ ორგანიზმის მიერ შეგრძნების სხვადასხვა მოდალობით ინფორმაციის მიღება.

დ) შეგრძნების რომელიმე ორგანოს ფუნქციონირების დარღვევისას სხვა ორგანოების მიერ კომპენსატორული ფუნქციის შეძენა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 2

გაკვეთილის დაგეგმვის დროს სპეციალური მასწავლებლის რომელი აქტივობაა **ყველაზე ადეკვატური** საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის ანალიზისა და რეფლექსიისათვის?

ა) გააანალიზოს დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები, აქტივობები და მიდგომები. შეაჯამოს, რამ გაამართლა კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში და რამ - არა.

ბ) შეაფასოს სსსმ მოსწავლეების კომუნიკაციის ხარისხი მშობლებთან და მასწავლებლებთან, მისცეს მათ რჩევები თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებისთვის.

გ) დააკვირდეს საგნის მასწავლებლის ურთიერთობას სსსმ მოსწავლესთან და შეიმუშაოს მისთვის რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ წინსვლაში.

დ) სწავლისა და განვითარების თეორიებზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი, აქტივობები შეუსაბამოს მოსწავლეების ასაკობრივი განვითარების საფეხურებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 3

რომელ დებულებაშია ასახული დიფერენცირებული სწავლების ის მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს მას ტრადიციულისგან?

ა) ინსტრუქციისა და დავალების სპეციფიკა შეირჩევა წინასწარ განსაზღვრული კურიკულუმის მიხედვით.

ბ) მოსწავლეთა განსხვავებების შემჩნევა და მათზე რეაგირება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თვალსაჩინო ან პრობლემურია.

გ) მოსწავლეთა შეფასება ხდება სწავლის პროცესის ბოლოს მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის, მიღწეული შედეგის დადგენის მიზნით.

დ) დავალებები შეირჩევა და ინსტრუქციების თავისებურებები განისაზღვრება მოსწავლის ინტერესების, მზაობისა და სწავლის პროფილის მიხედვით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 4

ჩამოთვლილთაგან რომელია დასწავლილი უმწეობის მართებული განმარტება/განმარტებები?

I. დასწავლილი უმწეობა არის მდგომარეობა, როდესაც სუბიექტი დარწმუნებულია, რომ არასასურველი სიტუაციის შეცვლა არ არის დამოკიდებული მის ქცევაზე, ის ხდება პასიური და არ ეძებს გამოსავალს.

II. დასწავლილი უმწეობა ადამიანის ისეთი შინაგანი მდგომარეობაა, როდესაც პიროვნებას აქვს სურვილი, რომ არასასურველ სიტუაციას თავი დააღწიოს, თუმცა არ აქვს ამის შესაძლებლობა და რესურსი.

III. დასწავლილი უმწეობა ადამიანის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ინდივიდს უხსნიან, თავი აარიდოს იმას, რისი გაკეთებაც არ შეუძლია, რათა მიღებული შედეგის გამო არ დარჩეს იმედგაცრუებული.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 5

მოსწავლის ენისა და მეტყველების უნარის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი ასპექტი - ექსპრესიული და იმპრესიული მეტყველება.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობით არის შესაძლებელი იმპრესიული მეტყველების შეფასება?

ა) დააკვირდეს, რამდენ სიტყვიან წინადადებებს იყენებს მოსწავლე საუბრის დროს.

ბ) დააკვირდეს, როგორ იყენებს მოსწავლე გრამატიკულ წესებს სიტყვების შეკავშირების დროს.

გ) დააკვირდეს, იყენებს თუ არა მოსწავლე სათქმელის შესაბამის არავერბალურ მიმანიშნებლებს.

დ) დააკვირდეს, სწორად იგებს თუ არა მოსწავლე იმ ეპიზოდის შინაარსს, რომელზეც ვესაუბრებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 6

მოსწავლეს უჭირს ამოკითხული ასოების სიტყვად გამთლიანება. მასწავლებელმა ბგერების სიტყვებად გაერთიანების გამარტივების მიზნით გადაწყვიტა მარტივი სიტყვის შესაბამისი გამოსახულების მქონე ბარათის გამოყენება.

მასწავლებლის ქმედება მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან სიტყვის ასო-ასო ამოკითხვისა და ბარათის ერთობლივი გამოყენება შეესაბამება მოსწავლის განვითარების აქტუალურ დონეს და უმჯობესდება მეხსიერება.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან ბარათების დახმარებით ასოების სიტყვებად გამთლიანება იწვევს ვიზუალური მეხსიერების გააქტიურებას და აბრკოლებს ფონოლოგიურ სინთეზს.

გ) **ადეკვატურია**, რადგან გამოსახულება დაეხმარება მოსწავლეს ამოკითხული ასოების მთლიანობით აღქმასა და მათგან შედგენილი სიტყვის შინაარსის წვდომაში.

დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ყურადღება გადანაწილდება როგორც ცალკეულ ასოებზე, ასევე ბარათზე მოცემულ გამოსახულებაზე, რაც გამთლიანების პროცესს კიდევ უფრო გაართულებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 7

სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეს დაავალა საგნების საერთო ნიშნის მიხედვით დაჯგუფება.

მოსწავლის მიერ დავალების შესრულების პროცესში ჩამოთვლილთაგან რომელი უნარია დომინანტური?

ა) აზროვნების უნარი

ბ) აღქმის უნარი

გ) ინფორმაციის შენახვის უნარი

დ) ყურადღების გადანაცვლების უნარი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 8

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლე გაკვეთილზე იწყებს ხელების სტერეოტიპულ მოძრაობას. მასწავლებელმა მისი ქცევა ჩაანაცვლა მაგარ ბურთზე ხელის მოჭერით.

მასწავლებლის ქმედება მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან სტერეოტიპული ქცევის ჩანაცვლებით მოსწავლეს ყურადღება გადააქვს ბურთზე და სხვა გამღიზიანებლებისადმი ნაკლებად სენსიტიური ხდება.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან აუტიზმის სპექტრის აშლილობისათვის დამახასიათებელია სენსორული დარღვევები და ეს აქტივობა გამოიწვევს მოსწავლის სტიმულაციასა და გაღიზიანებას.

გ) **ადეკვატურია,** რადგან სტერეოტიპული ქცევის ალტერნატიული, სოციალურად უფრო მისაღები ქცევის ჩანაცვლებით დაკმაყოფილდება მოსწავლის იგივე მოთხოვნილება.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან მსგავსი ქმედებით მოსწავლე უმკლავდება სტრესს, მასწავლებელმა უნდა აცადოს, რომ მოსწავლემ თვითონ შეწყვიტოს ქცევა, მისცეს დრო დამშვიდებისთვის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 9

სკოლის სივრცეში არსებულ რესურს ოთახს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ინკლუზიური განათლების პროცესში.

რესურს ოთახის ძირითადი დანიშნულება არის ის, რომ:

ა) სსსმ მოსწავლეებთან სწავლება წარიმართოს ამ სივრცეში და შემდეგ ნასწავლი განამტკიცონ კლასში.

ბ) სსსმ მოსწავლეებს მიეცეთ საგაკვეთილო პროცესიდან განტვირთვისა და დასვენების შესაძლებლობა.

გ) გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე საშუალება სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური და/ან ჯგუფური მუშაობისათვის.

დ) გამოიყოს სივრცე, სადაც სპეციალური და საგნის მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისათვის ერთობლივად შეიმუშავებენ ისგ-ს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 10

მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი აქტივობა/აქტივობები დაეხმარება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის (ADHD) სინდრომის მქონე მოსწავლეს იმპულსურობით გამოწვეული სირთულეების დაძლევაში?

I. ორი მოსწავლე ზის ერთმანეთის პირისპირ. ისინი მონაცვლეობით ესვრიან ერთმანეთს ბუშტს. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც უფრო სწრაფად წამოხტება და მეტჯერ შეძლებს ბუშტის დაჭერას.

II. მონაწილეები დგებიან წრეზე, იწყებენ სიარულს მუსიკის ჩართვისთანავე და დადიან მანამ, სანამ ისმის მუსიკა. როგორც კი მუსიკა გამოირთვება, ყველა ჩერდება მის კვლავ ჩართვამდე. გამარჯვებულია ის, ვინც უფრო დიდხანს გაძლებს უმოძრაოდ.

III. მოსწავლეები მონაცვლეობით იძლევიან მითითებებს: „დაჯექი“, „ტაში დაუკარი“ და ა.შ. უნდა შესრულდეს მხოლოდ ის მითითება, რომელსაც წამყვანი დაიწყებს ფრაზით: „საიმონი ამბობს“ (თამაში „Simon says“). ვინც წესს ვერ მიჰყვება, თამაშს ეთიშება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 11

მასწავლებელმა შემჩნია, რომ მოსწავლეს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ჰქონდა და გადაწყვიტა მშობლის ინფორმირება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის მშობლის ინფორმირების ეფექტიანი სტრატეგია/სტრატეგიებია:

I. მასწავლებელმა მიაწოდოს მშობელს არგუმენტირებული აღწერა მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და გამოვლენილი სირთულეების შესახებ.
II. მასწავლებელმა სხვა მოსწავლეების მაგალითებზე დაყრდნობით დაუსაბუთოს მშობელს მოსწავლის მიერ გამოვლენილ სირთულეებთან გამკლავებაში სკოლის ჩარევის ეფექტიანობა.
III. მასწავლებელმა აგრძნობინოს მშობელს სკოლის სრული მხარდაჭერა და გაუზიაროს გამოვლენილ სირთულეებთან გამკლავების გზები.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 12

ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა გულისხმობს ყველა მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეთათვის, სწავლის შესაძლებლობის, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების და განვითარების ხელშეწყობას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა/პირობები უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის გარემოსთან სრულყოფილ ინტეგრაციას?

I. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყველა სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა.
II. საზოგადოების მიერ შერჩეულ ჯგუფებთან მიკუთვნების უზრუნველყოფა.
III. განვითარების პროცესში გარშემომყოფთა უპირობო მხარდაჭერა.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

დავალება N 13

სსსმ მოსწავლეს ცერებრული დამბლის დიაგნოზი აქვს, მას არ შეუძლია კალმის დაჭერა მარჯვენა ხელით, იყენებს მხოლოდ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს და შეზღუდულად მარცხენა ხელის ხუთივე თითს. ქართულის მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეს ერთ-ერთ გრძელვადიან მიზნად კომპიუტერზე ქართული შრიფტით ბეჭდვის სწავლა დაუსახა.

მასწავლებლის მიერ დასახული მიზანი მოსწავლის შესაძლებლობების:

ა) **რელევანტურია,** რადგან ამ დროს სსსმ მოსწავლის შეზღუდვის კომპენსირება ხდება წერის ალტერნატიული მეთოდით.

ბ) **რელევანტური არ არის,** რადგან ხელით წერა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ თითების გავარჯიშება შეძლოს.

გ) **რელევანტურია,** რადგან კომპიუტერზე ბეჭდვამ დღეისათვის თითქმის ჩაანაცვლა ხელით წერა.

დ) **რელევანტური არ არის,** რადგან თუ სსსმ მოსწავლეს არ შეუძლია წერა, ის ვერც ბეჭდვას ისწავლის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 14

ჩამოთვლილთაგან რომელია დისკალკულიისათვის დამახასიათებელი არსებითი სირთულე/სირთულეები?

I. სიმბოლოებისა და ნიშნების იდენტიფიკაციის სირთულე.

II. სწავლაზე დახარჯული დროის გახანგრძლივება.

III. ყურადღების განაწილების სირთულე.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 15

სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლესთან მასწავლებელი აქტიურად იყენებს მულტიმოდალური სწავლების მეთოდს.

მოცემულ შემთხვევაში ამ მეთოდით სწავლება:

ა) **მართებულია,** რადგან სწავლების პროცესში სიტყვასთან დაკავშირებული შინაარსობრივ-ასოციაციური კავშირების გამრავალფეროვნება აადვილებს მის აღქმასა და გაგებას.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან ეს მეთოდი კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს, რომ მოსწავლეს სმენასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს.

გ) **მართებულია,** რადგან სწავლების მრავალფეროვნება გააუმჯობესებს მოსწავლის სმენით უნარებს და ინფორმაციის აუდიალურ აღქმას.

დ) **მართებული არ არის,** რადგან მრავალფეროვანი შეგრძნებების სინთეზირების პროცესში საუბრის ინტონაცია და სახის ექსპრესია ყურადღების მიღმა რჩება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 16

შეუსაბამეთ A სვეტში წარმოდგენილი აქტივობები B სვეტში მოცემულ შშმ და სსსმ პირების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებულ დამოკიდებულებებს:

აქტივობა (A)	**დამოკიდებულება (B)**
I. პირდაპირი კონტაქტისგან თავის არიდების მიზნით მხოლოდ ფინანსური ან სიტყვიერი დახმარება.	ა) პოზიტიური დისკრიმინაცია
II. მშობლის ან სხვა პირის მიერ, დახმარების გაწევის მიზნით, შშმ და სსსმ პირების ნაცვლად სირთულეების გადალახვა.	ბ) ზერელე ტოლერანტობა
III. მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მიუხედავად მისი მაღალი ქულით შეფასება.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 17

შეუსაბამეთ A სვეტში მოცემული აქტივობები B სვეტში ჩამოთვლილ აღქმის კომპონენტებს:

აქტივობა (A)	**აღქმის კომპონენტი (B)**
I. მასწავლებელი ამოწმებს, როგორ ამოიცნობს მოსწავლე კონკრეტულ საგანს სხვადასხვა სენსორული ინფორმაციის: სუნის, გემოს, ფერის ან ფორმის მიხედვით.	ა) აღქმის საგნობრიობა ბ) აღქმის მთლიანობა
II. მასწავლებელი ამოწმებს, როგორ ამოიცნობს მოსწავლე ნაცნობ, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ხმაურს (საათის წიკწიკი, ონკანიდან მომავალი წყლის ხმა).	
III. მასწავლებელი ამოწმებს ბარათზე გამოსახული საგნის ნაწილით (ნახევარი მაკრატელი, ნახევარი მანქანა) როგორ ამოიცნობს მოსწავლე საგანს.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 18

(A) სვეტში მოცემულია სწავლის სხვადასხვა სტილის აღწერა, (B) სვეტში კი სწავლის სტილი. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

	აღწერა (A)	**სწავლის სტილი (B)**
I.	მოსწავლეს ურჩევნია, მოუსმინოს სხვის მიერ წაკითხულს, ვიდრე თავად წაიკითხოს.	ა) ვიზუალური ბ) მულტიმოდალური გ) აუდიალური დ) კინესთეტიკური
II.	მოსწავლე უკეთ აღიქვამს და ითვისებს ილუსტრაციებით დემონსტრირებულ ინფორმაციას და მასალას.	
III.	მოსწავლე უკეთ შეიმეცნებს ინფორმაციას სხეულის მოძრაობითა და ობიექტების მანიპულაციით.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24

25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 19

მაქსიმალური ქულა - 3

„ახლა ცამეტი წლის ვარ და მეექვსე კლასში ვსწავლობ. ვივაჟკაცე და ორჯერ ჩავრჩი ერთსა და იმავე კლასში: მეორესა და მეექვსეში... სკოლაში რაც ხდება, ჩემთვის ყველაფერი ჩინურია, ერთ ყურში შედის და მეორიდან გადის. მოკლედ, რომელ ექიმთან აღარ მიმიყვანეს: ჯერ თვალისო, მერე ყურისო, ბოლოს ტვინისაც გამოძებნეს და უამრავი ტყუილად დაკარგული დროის შემდეგ გამოიტანეს დასკვნა, რომ თურმე, კონცენტრაციის პრობლემა მქონია. ახალი ამბავი! ეს ხომ მეც მშვენივრად ვიცოდი...“

„35 კილო იმედი“ ანა გავალდა

– აღწერეთ სტრატეგია, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეს დაძლიოს ყურადღების კონცენტრაციის პრობლემით გამოწვეული სწავლის სირთულეები.
– დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 20

მაქსიმალური ქულა - 3

ეტლით მოსარგებლე მოსწავლის დედა ყოველთვის მორიდებით ელაპარაკება სხვა მშობლებს. მასწავლებელთან საუბრისას ბოდიშს იხდის შვილის მდგომარეობის გამო, გამოხატავს მადლიერებას იმისათვის, რომ ამდენ დროს უთმობს მის შვილს და ნაჩქარევად ემშვიდობება.

- აღწერეთ სტრატეგია, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი დაეხმარება შშმ მოსწავლის მშობელს შვილის მდგომარეობისადმი დამოკიდებულების შეცვლაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 21

მაქსიმალური ქულა - 3

თხრობა არის კომპლექსური უნარი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ინფორმაციას გადასცემს და ემოციებს უზიარებს მსმენელს. თხრობის უნარი თანდაყოლილი არ არის, ის საჭიროებს სწავლებას და გავარჯიშებას.

- აღწერეთ თხრობის უნარის განვითარების ერთი ეფექტიანი სტრატეგია.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 22

ჩამოთვლილთაგან რომელია სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს **ყველაზე მართებული** აღწერა?

ა) პორტფოლიოში ინახება სსსმ მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე კონკრეტულ საგნებში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ბ) პორტფოლიოში ინახება სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

გ) პორტფოლიოში ინახება სპეციალური მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის, მისი საქმიანობის ამსახველი და სსსმ მოსწავლისთვის შექმნილი დოკუმენტები.

დ) პორტფოლიოში ინახება სსსმ მოსწავლის განათლების სხვა საფეხურზე ტრანზიციისთვის შემუშავებული გეგმის შესაბამისი კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალი.

დავალება N 23

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არასოდეს აქტიურობს, თავისთვის თამაშობს და არ უშლის ხელს მასწავლებელს. მასწავლებელმა იცის, რომ მოსწავლე სტიკერებს აგროვებს, ამიტომ გაკვეთილზე ჩართულობის სანაცვლოდ სტიკერებით აჯილდოებს. სტიკერების გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ მოსწავლეს უფლება აქვს, ხუთი წუთი ითამაშოს.

ჩამოთვლილთაგან არასასურველი ქცევის კორექციის რომელ საფეხურს შეესაბამება **ყველაზე მეტად** მასწავლებლის აქტივობა?

ა) არასასურველი ქცევის იდენტიფიკაცია.

ბ) ჩამანაცვლებელი ქცევის განსაზღვრა.

გ) გარემოში ქცევაზე ნეგატიურად ზემოქმედი ფაქტორების შემცირება.

დ) განმამტკიცებლის გამოყენებით სასურველი ქცევის სიხშირის გაზრდა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 24

ჩამოთვლილთაგან რომელი განმარტება გამოხატავს **ყველაზე უკეთ** დასწავლის უნარის დარღვევას?

დასწავლის უნარის დარღვევა არის:

ა) შეგრძნების ორგანოების ფუნქციონირების დარღვევით გამოწვეული მწვავე სენსორული დეფიციტი.

ბ) თავის ტვინის დაზიანების შედეგად ყურადღების კონცენტრაციის და ქცევის რეგულაციის დარღვევა.

გ) ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემებით გამოწვეული ემოციური ინტელექტის დეფიციტი.

დ) გენეტიკური და კოგნიტური ფაქტორების ურთიერთქმედებით გამოწვეული ნეირობიოლოგიური დარღვევა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 25

მასწავლებელმა მოსწავლეს სმენითი აღქმის განვითარების მიზნით დაავალა, ტაში დაუკრას მაშინ, როდესაც იგი ფონური ხმაურის დროს ქსილოფონზე ჯოხით დააკაკუნებს.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

I. აღწერილი აქტივობის გამოყენების დროს ფონური ხმა შთანთქავს სამიზნე ბგერას, რთულდება აღქმა და, შესაბამისად, ფერხდება სმენის განვითარება.

II. აღწერილი აქტივობის გამოყენება მიზანშეწონილია, რადგან ის ხელს უწყობს ფონური ხმაურით გადაფარული ბგერის გარჩევის უნარის განვითარებას.

III. აღწერილი აქტივობის გამოყენება შედეგს არ მოგვცემს, რადგან ამ უნარის განვითარებისათვის აუცილებელია სამეტყველო ბგერების და არა სხვა ტიპის სტიმულების აღქმაზე მუშაობა.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 26

ჩამოთვლილთაგან სპეციალური მასწავლებლის რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** სსსმ მოსწავლისა და მისი თანატოლების პოზიტიურ ურთიერთობას?

ა) სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლის თანატოლები გააფრთხილოს, უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, არ გამოხატონ ინტერესი და არ დასვან კითხვები სსსმ მოსწავლის დამხმარე საშუალებების (ეტლი, სასმენი აპარატი და სხვ.) შესახებ.

ბ) სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლის თანატოლებს დაავალოს, აიღონ საკუთარ თავზე კლასში მეგობრული ურთიერთობების დამყარების ინიციატივა.

გ) სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლის ჯგუფურ აქტივობებში ჩართვამდე თანაკლასელებს მიაწოდოს ინფორმაცია და ხაზგასმით აღნიშნოს სსსმ მოსწავლის ის სუსტი მხარეები, რომლებიც მათ ურთიერთობის დროს უნდა გაითვალისწინონ.

დ) სპეციალურმა მასწავლებელმა საკლასო ოთახში სსსმ მოსწავლის ასისტირების პროცესში ინტერაქცია დაამყაროს როგორც სსსმ მოსწავლესთან, ისე მის თანატოლებთან.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 27

სსსმ მოსწავლის რომელ უნარს/უნარებს უნდა მიაქციოს ყურადღება სპეციალურმა მასწავლებელმა მისი ქცევის თვითრეგულაციის შეფასების დროს?

I. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი თავის მოვლა და პირადი ჰიგიენის დაცვა, ხელების დაბანა, ჩაცმა-გახდა.

II. მოსწავლეს შეუძლია სურვილების გადავადება, რიგის/ჯერის დაცვა, ნივთების თხოვნა და დაბრუნება.

III. მოსწავლეს შეუძლია დიალოგის ინიცირება, ურთიერთობისას ჟესტის, ენისა და მეტყველების გამოყენება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 28

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა უნდა შედიოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის პირველადი მართვის გეგმაში?

ა) საჭიროებიდან გამომდინარე მოსწავლის უზრუნველყოფა დამხმარე მასალებითა და სპეციალისტებით.

ბ) სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოვლენილი საჭიროებების აღწერა.

გ) მასწავლებლების და მშობლის მიერ მულტიდისციპლინური შეფასების საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების შესრულება.

დ) სპეციალური მასწავლებლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებთან ერთად ინტერვენციის გზების დასახვა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 29

მასწავლებელმა სსსმ მოსწავლისთვის ახალი ქცევის სწავლების მიზნით კვებითი და სოციალური განმამტკიცებლები დააწყვილა.

აღნიშნული სტრატეგია მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან ეს საშუალებას იძლევა ეტაპობრივად შემცირდეს კვებითი განმამტკიცებლის წილი და დარჩეს მხოლოდ სოციალური.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან შედეგის შენარჩუნება შესაძლებელია ერთ კონკრეტულ ქცევაზე მხოლოდ ერთი და იმავე განმამტკიცებლის გამოყენებით.

გ) **ადეკვატურია,** რადგან ერთდროულად რამდენიმე განმამტკიცებლის ხანგრძლივად გამოყენება უზრუნველყოფს ახალი ქცევის უფრო სწრაფად გადასვლას ჩვევაში.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან მოსწავლე დაიწყებს მანიპულირებას და აღნიშნულ სიტუაციაში ის დამოკიდებული გახდება ამ განმამტკიცებლებზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 30

კითხვის უნარის შეფასების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია წაკითხულის შინაარსის გაგება. ამ უნარის შესაფასებლად მასწავლებელმა მოსწავლესთან სხვადასხვა აქტივობა გამოიყენა.

ჩამოთვლილთაგან აღნიშნული უნარის შეფასებისთვის მასწავლებლის რომელი აქტივობა იქნება **ყველაზე ადეკვატური**?

ა) მოსწავლის მიერ წაკითხული ტექსტიდან მასწავლებელმა მოინიშნოს არასწორად წაკითხული სიტყვები და წინადადებები.

ბ) მოსწავლეს არასწორი თანმიმდევრობით მიაწოდოს ტექსტის ეპიზოდები, შემდეგ კი სთხოვოს თანმიმდევრულად დალაგება.

გ) მოსწავლეს მიაწოდოს სიტყვათა ჩამონათვალი, წააკითხოს, შემდეგ კი სთხოვოს თითოეულ სიტყვაზე წინადადების შედგენა.

დ) მოსწავლეს უჩვენოს სხვადასხვა ილუსტრირებული ბარათი და სთხოვოს, თითოეულ მათგანს შეუსაბამოს დაწერილი სიტყვა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 31

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლე არ ურთიერთობს თანაკლასელებთან, არ რეაგირებს მასწავლებლის შეკითხვებზე, ხელში უჭირავს პატარა მანქანა და განუწყვეტლივ ატრიალებს მის ბორბლებს.

რომელი სტრატეგია/სტრატეგიები შეუწყობს ხელს სსსმ მოსწავლის საკლასო აქტივობებში ჩართვას?

I. მასწავლებელმა სწავლის დაწყებამდე მოსწავლის სამუშაო მაგიდაზე დადოს მიმდინარე დღის საკლასო აქტივობების ვიზუალური ცხრილი, ყოველი გაკვეთილის დაწყებამდე კი დაამატოს კონკრეტულ გაკვეთილზე ჩასატარებელი აქტივობები.

II. მასწავლებელმა გამოიყენოს ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებები და კითხვის ვერბალურად დასმის ნაცვლად აჩვენოს ბარათი შესაბამისი გამოსახულებით.

III. მასწავლებელმა მოსწავლის სათამაშო მანქანა ჩაანაცვლოს ნახატებიანი წიგნით ან ალბომით და დაავალოს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული აქტივობის შესრულება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 32

სასწავლო პროცესის აკომოდაციის რომელი ფორმის გამოყენებაა მართებული, როდესაც სსსმ მოსწავლეს, სამედიცინო დასკვნისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებით, არა აქვს კარგად განვითარებული ნატიფი მოტორიკა?

ა) საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სასწავლო მიზნების ცვლილება.

ბ) საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სასწავლო შინაარსის ცვლილება.

გ) სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული სამუშაოებისათვის დროისა და გრაფიკის ცვლილება.

დ) სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული სტანდარტებით განსაზღვრული ცნებების შემცირება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 33

კითხვის სწავლისას შეცდომებს ხშირად მიხვედრით კითხვა იწვევს.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები დაეხმარება მოსწავლეს მიხვედრით კითხვის დაძლევაში?

I. მოსწავლეს ვაწვდით რამდენიმე სიტყვიან წინადადებას გადაბმით, ინტერვალების გარეშე. მას ევალება, ამოიკითხოს სიტყვა და ხაზი გაავლოს იქ, სადაც აღნიშნული სიტყვა მთავრდება და იწყება ახალი.

II. მოსწავლეს კითხვის დაწყებამდე ვაცნობთ ტექსტის შინაარსს. ვეკითხებით, რა იცის ამის შესახებ და ვავალებთ, წაიკითხოს ტექსტი და ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წარსულში ნასწავლ მასალას.

III. მოსწავლეს ვაწვდით ბარათებს გამოსახულებით, გამოსახულების შესაბამის სიტყვებში ბგერები გამოტოვებულია, გადანაცვლებული ან ჩანაცვლებული. მოსწავლეს ევალება, იპოვოს შეცდომები და გაასწოროს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 34

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მასწავლებელმა მოსწავლეს უჩვენა ბარათები სხვადასხვა საგნის გამოსახულებით და სთხოვა, ყურადღებით დაკვირვებოდა მათ, შემდეგ ბარათები გადააბრუნა და დაავალა მათზე გამოსახული საგნების დასახელება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

რომელ უნარს აფასებს მასწავლებელი აღნიშნული აქტივობით?

ა) სელექციური ყურადღების

ბ) ლოგიკური აზროვნების

გ) ხანმოკლე მეხსიერების

დ) აღქმის კონსტანტობას

დავალება N 35

როდის არის მულტიმოდალური სწავლება **ყველაზე ეფექტიანი?**

ა) როდესაც მოსწავლეს სწავლისადმი დაბალი მოტივაცია აქვს და არ აქვს მიღწევის მოთხოვნილება.

ბ) როდესაც მოსწავლეს ერთი სენსორული არხი უფრო სუსტად აქვს განვითარებული, ვიდრე დანარჩენი.

გ) როდესაც მოსწავლეს ყურადღების პრობლემები აქვს და უჭირს საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

დ) როდესაც მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით ხანგრძლივი დრო ესაჭიროება დავალების შესასრულებლად.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 36

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

დასჯის მეთოდების გამოყენებამ სხვადასხვა ნეგატიურ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. არსებობს არასასურველი ქცევის გამოვლენის სიხშირის შესამცირებელი ალტერნატიული სტრატეგიები.

სსსმ მოსწავლე გაკვეთილებზე ყურადღების მისაქცევად ხმამაღლა იცინის. მასწავლებელმა აღნიშნული ქცევის სიხშირის შემცირების მიზნით იგნორირების სტრატეგიას მიმართა.

რამდენად რეკომენდებულია მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის რთულ ქცევაზე საპასუხოდ საწყის ეტაპზე აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება?

ა) **რეკომენდებულია,** რადგან სსსმ მოსწავლე სასურველი შედეგის მიღებას ვერ შეძლებს და დროთა განმავლობაში ეს ქცევა საბოლოოდ შეწყდება.

ბ) **რეკომენდებული არ არის,** რადგან, შესაძლოა, ქცევა გამწვავდეს და მომავალში უფრო მეტი სიხშირით, ხანგრძლივობითა და ინტენსივობით გამოვლინდეს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

გ) **რეკომენდებულია,** რადგან მასწავლებელს ნაკლები ძალისხმევა სჭირდება სსსმ მოსწავლის ქცევის მართვისათვის და მეტი დრო რჩება კლასთან სამუშაოდ.

დ) **რეკომენდებული არ არის,** რადგან ამ დროს სსსმ მოსწავლე მსგავსი ქცევით მოიპოვებს სრულ თავისუფლებას და მასწავლებლის ავტორიტეტი შეილახება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 37

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 3

„დღეს ამ ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილების მერე ფილმი გვაჩვენა. ერთი უშნო ბიჭი იყო... მაგაზე იყო ფილმი. იმის კლასელები ამათზე უარესები იყვნენ. ისე დასცინოდნენ, მე მაგასთან შედარებით სამოთხეში ვარ. ისეთი ფილმი იყო, სხვანაირი... მე ხო რაც აღარ ვლაპარაკობ, აღარც ვტირი, მაგრამ ვუყურებ და ასე მგონია, მერე რა, რო ბიჭია, თან უსათვალო და გამხდარი, მაინც ჩემზეა ეს კინო-მეთქი და მეტირება.

ფილმი რო დამთავრდა, მივხვდი, რო არ ყოფილა ჩემზე, იქ ის უშნო ბიჭი ბოლოს მთელ კლასს შეუყვარდა და აბა, ჩემზე რანაირად...“

„ლიზი ღმერთია“

ნათია როსტიაშვილი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

- აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ბულინგის პრობლემის დაძლევაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 38

მაქსიმალური ქულა - 3

ინკლუზიური განათლების დანერგვამდე თითოეული შშმ და სსსმ პირისთვის, რომელთაც განვითარების დარღვევა ან ჯანმრთელობის თვალსაჩინო დაზიანება ჰქონდათ, განათლების მიღების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზებული სკოლა წარმოადგენდა. სწავლის სირთულეების მქონე ბავშვები კი სწავლობდნენ საჯარო სკოლებში. ყოველივე ეს სწავლა - სწავლების და საზოგადოებასთან ურთიერთობის გარკვეულ სირთულეებს იწვევდა, რაც პოზიტიურად შეცვალა ინკლუზიურმა განათლებამ.

- აღწერეთ ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი უპირატესობა ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისათვის.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 39

მაქსიმალური ქულა - 3

პირველი კლასის მოსწავლე ხშირად აწყობს ტანტრუმს. სპეციალურმა მასწავლებელმა თავდაპირველად თავადვე სცადა რთული ქცევის მართვა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსწავლის ქცევა კიდევ ბევრჯერ განმეორდა.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება სპეციალურ მასწავლებელს მოსწავლის რთული ქცევის მართვაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

დავალება N 40

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 3

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შეირჩა და განისაზღვრა წლის ბოლოს მისაღწევი სასწავლო შედეგები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. **გრძელვადიანი მიზანი** (ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში):

მოსწავლე ისმენს და აღიქვამს მარტივ ინფორმაციას, სწორად რეაგირებს მარტივ სამეტყველო სიტუაციაში.

	მოკლევადიანი მიზანი	**მიზნის მიღწევის თარიღი**
1	მოსწავლე ასრულებს მასწავლებლის მარტივ ინსტრუქციას.	
2	მოსწავლე ამოიცნობს და იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს.	

წყარო : ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, ინკლუზიური განათლება, ზოგადი ნაწილი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a

- აღწერეთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახული მოკლევადიანი მიზნებიდან რომელიმე ერთის შესაბამისი აქტივობა.
- დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34a 35 36 36a 37 37a 38 39 40 40a